სამშობლო

პარასკევი
9 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ერთბაშად მოწერის დროს 3 მ., და დარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 194 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 194

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილიბ ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთის ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ქნეინა მარიამ კონსტანტინე დადეშქელიანის ასული დადიანისა, თ-დი ჯვებე დავითის ძე დადიანი; ქნეინა ნინო კონსტანტინე დადეშქელიანის ასული წერეთლისა, თ-დნი კონსტანტინე, სანდრო და ანდრო იასონის ძენი წულუკიძეები, ფილდოსია ქუთათელაძისა და აგრაფინა წულუკიძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, დილის 5 ს., უეცრად გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორის გერი, მესამის დისწული დანარჩენთა ძვირფასი ძმა

თ-დი სერგო (იგივე სერიოჟა) **იასონის ძე წულუკიძე.**

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 სათზე, პოლიციის ქუჩაზე დადეშქელიანის სახლში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

2—1—4008.

6 ოქტომბერს 1915 წელს გარდაიცვალა „კოლეჟსკი სოვეტნიკი“

კონსტანტინე დავითის ძე ჩარკვიანი

თავზარდაცემულნი: მეუღლე მისი, თეკლე გიორგის ასული, შვილები: დავით, ვლადიმერი და სონია კონსტანტინეს ძენი და ასული სიძე ნიკოლოზ პიმენის ძე გაბაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ყოველ დღე საღამოს 5 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი საკუთარ სახლში, ტელეგრაფის ქუჩაზე. ცხედრის წასვენების დრო გამოცხადდება შემდეგში.

2—1—4009

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.

ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი **გ. დ. ნახარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის** **ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარეძოშვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 8 ოკტომბრიდან ნაჩვენები იქნება დიდი მონოპოლიური სურათი

ნიკოლოზ სტავროგინი.

მოსკოვის ცნობილ მსახ. ი. ი. მოზჟუხინისა და რიმინის მონაწილეობით 6 ნაწ. თ. მ. დოსტოევსკის თხზულებიდან (ეშმაკები).

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ორი საუცხოვო სურათი: 1 **მოცეკვავე შამ ტაძარნაში.** სენსაციური დრამა 6 ნაწილად. 2. **ჯაჭვი ტანჯვისა და მწუხარებისა.** დრამა თანამედ. სამხედრო ცხოვრებიდან 5 ნაწ.

განცხადება

სათნოების უფროსს დას ქ-ნ მარიამ ვასილის ასულს როსტოვცევისას გუშინ, 7 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში

დაკარგვია დოკუმენტები

ორი სურათით. მპოვნელს სთხოვს წარადგინოს წყალგალმა სამოქალაქო უბნის კანცელარიაში, სადაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 2—1—4007

„სინათლის“ საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში** მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.

თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საშუალო სასწავლებლის უფროს კლასებისთვის, უმაღლეს დაწყებითს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი **რ. პ. ხვანაძი**-ასული მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

უმაღლესი მანიფესტი.

(ბულგარეთთან—ომის გამოცხადების შესახებ).

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი მთელი რუსეთისა მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულთ, რომ მთელი ომის განმავლობაში ვერაგულად მომზადებული ბულგარეთის ღალატი, რომელიც მაინც არ გვჯეროდა, საბოლოოდ ახლა გამოირკვა. ბულგარეთის ჯარები უძლიერეს მტერთან ბრძოლაში სისხლ დაცლილ ჩვენს მოკავშირე სერბიას დაეცა თავზე. რუსეთი და ჩვენთან მოკავშირე სახელმწიფონი ფერდინანდის მთავრობას აფრთხილებდა ეს საბედისწერო ნაბიჯი არ გადაედგა მას. ბულგართა ზრახვა მაკედონიის ხელში ჩასაგდებად აღთქმული იყო, რომ შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ისე, რომ სლავიანობის ზოგადი ინტერესი არ დარღვეულიყო. მაგრამ გერმანელთა მიერ ერთსელვე ზეშთაგონებული შუღლი და ძმის სისხლის დამღვრელი შურის მიება სერბიელთა წინააღმდეგ აღემატა ყველა ჩვენს მეცადინეობას. ერთმორწმუნე ბულგარეთი, რომელიც ძმური სათნომოყვარეობით ამ ახლო წარსულში განთავისუფლებულ იქნა რუსის ხალხის სისხლით ოსმალთა უღლიდან, დღეს ამგვარად აღსდგა სლავიანობისა და რუსეთის საწინააღმდეგოდ და მხარი მისცა ქრისტეს რჯულის მტრებს. მწუხარებით შეჰხვდება რუსის ხალხი ამ გამცემლობის ამბავს და ნაღვლით დაზიდული აღმართავს მოღალატე ბულგარეთის წინააღმდეგ თავის მახვილს. ბედსლა მიენდო ღვთისრისხვა და მისი სამართალი სლავიანობის მტრის გასასჯელად.

გამოცემულია სამეფო სადგომიდან 5 ოქტომბერს, ჩვენი მეფობის ოცდამეერთე დღეს.

საკუთარ ხელს აწერს მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა:

ნიკოლოზი.

დეპეშები.

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან)

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 6 ოკტომბერი. სტირის რაიონში 3 ოკტომბერს ჩვენი მოწინავე ნაწილები ბევრ ადგილას ამ მდინარის ჩრდილო ნაპირზე გადავიდნენ. იმავე დღის 8 საათზე ჩვენ დავიჭირეთ მტრის სანგრების პირველი წყება სოფელ ბულიკოვიჩთან. 4 საათზე ამ რაიონში მომქმედი ჩვენი ჯარი დამკვიდრდა მტრის მთავარი პოზიციის მავთულის ხლართიდან 100 ნაპიჯის მანძილზე. პრაპორშჩიკ ლებედევის წინამძღოლობით ჩვენი მზვერავების მარჯვე მოქმედების შემდეგ ერთმა პოლკმა მტრის პოზიციების პირველი ხაზი დაიჭირა სოფელ კარპილოვკას ჩრდილოეთით. მტრის ცდა, რომ ჩვენ მიერ დაკავებული სანგრები დაებრუნებია, ჩვენ მოვიგერიეთ. პომეა—კონსტანტინოვკას უბანში ჩვენი მოწინავე ნაწილები მტრის სიმაგრეებს დაუახლოვდნენ და სანგრებში მყოფ გერმანელებს ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინეს. 4 ოქტომბერს დილის 6 საათზე ზოგი ჩვენი ნაწილი რაფელოვკასთან მდინარე სტირზე გადავიდა და მედგარ იერიშს შემდეგ მტრის სანგრების პირველი წყება დაიკავა. ერთ—ერთმა ჩვენმა პოლკმა მარჯვე იერიში მიიტანა სადგურ პოლჩევიჩზე. 4 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიისმფრქვეველი. 40 ოფიცერი და 1887 ჯარისკაცი. სხვა ნაწილებმა მედგარი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს სოფლები კოზმინიჩ და ნოვოსელკი. ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიისმფრქვეველი, ორი ყუმბარის მტყორცნელი და 800 ავსტრო-გერმანელი ტყვედ. დილის 4 საათზე მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავათ, ჩვენ მავთულის ხლართი გავარღვიეთ, სანგრები დავიკავეთ და სოფელ კულიკოვიჩთან მივიჭერით. აქ ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიისმფრქვეველი, ყუმბარის მტყორცნელი და 1000-მდე ტყვე. მდინარე სერეტის რაიონში საარტილერიო და თოფებით სროლაა.

პეტროგრადი. 7 ოკტომბერი უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა: დასავლეთის ფრონტი. მიტავის გზატკეცილის რაიონში და ოლაის მიდამოებში ბრძოლები გრძელდება. ამ გზატკეცილის აღმოსავლეთით მდებარე ტყეებში და აგრეთვე ბევრ ადგილას ბრძოლები გრძელდება. ჩვენი „ილია მურომეცები“ გუშინ თავს დაესხა ფრიდრიხის სადგურს მიტავის სამხრეთდასავლეთით და სადგურის შენობებზე რამდენიმე ათეული ყუმბარა გადაყარეს. დვინის რაიონის ფრონტზე გერმანელებმა იერიში მიიტანეს დვინის გზატკეცილის (ნოვოალექსანდროვსკიდან) რაიონში მედუტის ტბის სამხრეთით, იერიში მოვიგერიეთ. ბოგინის ტბის ჩრდილოეთით მტერმა იერიში მიიტანა სოფელ მურმიშკაზე, იერიში ცეცხლით მოვიგერიეთ. სტირის მარცხენა ნაპირზე ჩვენი ჯარები განაგრძობდენ მტრის დევნას, რომელიც უწესრიგოთ გაიფანტა ტყეებში. გუშინ ჩვენ ბრძოლით ავიღეთ ფოლვარკ მუდჩიცკი მოლჩიცის სამხრეთით და მოვიგერიეთ მტრის იერიშები სოფელ სოვეშჩიცთან რაფალოვკასთან. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და ტყვიისმფრქვეველები. დამატებითი ცნობების მიხედვით გრენადერის პოლკის ბატალიონის უფროსის გარდა დავატყვევეთ აგრეთვე ადიუტანტი და 7 როტის უფროსი.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 6 ოქტომბერი. ფრენჩი იუწყება: სწარმოებდა ენერგიული საარტილერიო სროლა, მოვიგერიეთ იერიშები, რომელიც ყუმბარების შემწეობით მოჰქონდათ. ფრენჩი უარყოფს გერმანელების ცნობას, რომ მათ ინგლისელები უკუაგდეს ვერმელთან.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

სერბიის ფრონტზე.

— ბუქარესტიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ მდ. დრინის ნაპირებზე (სერბიაში) დიდი ბრძოლები ფითარდება. გერმანია-ავსტრიის ჯარების გრადიშჩესთან მდ. დუნაიზე გადმოსვლა დამთავრდა და ახლა ისინი ბელგრადის რაიონის სამხრეთით სიმაღლეებს იკავებენ. ცარკოვასა და მილორაჩევას შუა მდებარე ყველა სიმაღლეები ნემცებმა დაიკავეს; ქვევით მდ. დუნაის ნაპირებზე რიაშევამდე ისინი საარტილერიო ბრძოლას აწარმოებენ. ამ ბრძოლებში ნემცებმა სერბიელებს ბევრი იარაღი წაართვეს და ტყვეებიც ბლომათ წაიყვანეს.—მეორე მხრით სერბიას ბულგარეთმა 1 ოქტომბრიდან ომი გამოუცხადა და მთელი საზღვრის სივრცეზე შეესია. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა ტიმოკისა და ვარდარის ველებზე გაიმართა (ნიშის სამხრეთით), ეს იმიტომ, რომ ბულგარეთის ჯარს განზრახვა აქვს აქ სერბიის ჯარის ხაზი გაარღვიოს და სალონიკისაკენ გავიდეს.

საბერძნეთი სერბიას არ ეხმარება.

ათინიდან ,,მატენ''-ს ატყობინებენ, საბერძნეთის მთავრობამ სერბიის პასუხზე—სცნობს თუ არა საბერძნეთი ვალდებულათ თავს დაეხმაროს სერბიას—უპასუხა, რომ დღევანდელ პირობებში სერბიაზე ბულგარეთის თავდასხმა საბერძნეთისათვის არ ჩაითვლება მეგობრულ ვალდებულათა განხორციელების მომენტათ.

მინისტრთა საბჭოს კრებები.

ათინიდან იტყობინებიან, რომ დღევანდელი სერიოზული მომენტის გამო მინისტრთა საბჭოს ყოველდღე კრებები აქვს მიმდინარე საკითხების გამოსარკვევათ.

სალონიკიდან ცნობაა, რომ საბერძნეთის მაკედონიაში ყოველდღე მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება არის. დაპატიმრებულნი სალონიკში გადაყავთ, სადაც საქმის გამოძიება სამხედრო სასამართლომ უკვე დაიწყო.

მეფე კოსტანტინე და ვენიზელოსი.

ათინიდან რომის გაზეთებს ატყობინებენ დეპეშით, მეფე კოსტანტინემ ზაიმისის კაბინეტის ერთ ერთ წევრს განუცხადა, რომ, როცა იგი ვენიზელოს დაეთანხმა მობილიზაციის მოხდენაზე მხედველობაში ქონდა, რომ საბერძნეთის შეიარაღებული ძალის შეკრებება იქნებოდა როგორც წინასწარ მიღებული თავდასაცავი ზომა. მეფემ ამავე დროს განუცხადა ვენიზელოს, რომ მას ომში ჩარევა არ სურს და ვერც გამოიყენებენ მის ძალას ცენტრალურ სახელმწიფოთა შესავიწროებლათ. ამასთანავე მეფემ გააფრთხილა ვენიზელოსი, რომ მისი (მეფის) აზრით, საბერძნეთ-სერბიის ხელშეკრულობა დღევანდელ მომენტში სავალდებულო არ იქნება საბერძნეთისათვის დახმარება აღმოუჩინოს სერბიას. კონფლიკტი მეფესა და ვენიზელოსს შორის მოხდა მაშინ, როცა ვენიზელოსმა დეპუტატთა პალატაში დეკლარაცია წაიკითხა. კონფლიკტს ხელი შეუწყო გერმანიის ელჩმა მირბახმა, რომელმაც, გაეცნო რა დეკლარაციის შინაარს, მიირბინა სასახლეში და მეფეს დაასმინა, რომ დეკლარაციით ვენიზელოსმა გერმანია შეურაცხყოვო. რამდენსამე საათის შემდეგ მეფემ დაიბარა ვენიზელოსი და უსაყვედურა, რომ იგი გადასცდა იმ ფარგლებს, რომელიც ნაჩვენები ქონდა წინა დღით.

ბრძანება ჯარისადმი.

„ტიმეს" სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ გერმანიის ჯარს, რომელიც დვინსკთან არის, შემდეგი ბრძანება მიეცა: ათეულ ათასობით ჩვენს მებრძოლ ძმებს, რომელნიც სვენციანის რაიონში მედგრათ წინ მიიწევენ, დაღუპვა მოელის, ვიდრე დვინსკი რუსების ხელშია. საჭიროა დვინსკის აღება, რომ ეს საშიშროება მათ თავიდან ავაცილოთ, ამის შესრულება კი თქვენზეა დამოკიდებული და შესძლოთ ეს ჩვენი გმირ მებრძოლების დასახსნელათ.

პოლკოვნიკი გედკე.

„ფორვარტსის" უკანასკნელ ნუმერში ცნობილი სამხედრო მიმომხილველი გედკე შემდეგ ნაირათ ახასიათებს ბრძოლის ველის მდგომარეობას სხვა და სხვა ფრონტზე. „გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ არსად არ მომხდარა. ძნელია იმისი თქმა თუ სად მოხდება ასეთი ბრძოლა აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ფრონტზე. ამიტომ გერმანიის ერი ტყვილათ არ უნდა მიეცეს სიხარულს, ვითომც რომელიმე მოპირდაპირე დაიქანცა და საცაა იარაღს დაყრის. ჩვენ, რასაკვირველია, არ უარვყოფთ, რომ გერმანიის ხალხი ესწრაფვის ზავის ჩამოგდებას, მაგრამ მთავრობა და ხელმძღვანელი წრეები ამას არ სთანხმდებიან, რადგანაც კარგათ იციან, რომ დღევანდელი მძიმე ბრძოლის ნაჩქარევით დასრულება მომავლინებელი იქნება მთელი შთამომავლობისთვის. ჩვენ ყოველ შემთხვევაში მზათ უნდა ვიყოთ სიურპრიზებისათვის. ასწერს რა დაწვრილებით აღმოსავლეთ ფრონტზე ბრძოლის მდგომარეობას, გედკე ამბობს, რომ ზოგიერთ ნაწილში გერმანელები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. საეჭვო არაა, რომ რუსეთის ჯარმა თავისი უკან დახევა არა თუ შეაჩერა, ძლიერ კონტრიერიშებზეც კი გადავიდა. ფელდმარშალ მაკენზენის ჯარის შესახებ ოფიციალური ცნობებიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ ამას წინათ იგი იძულებული იყო თავისი ჯარი, რომელიც იასელდისკენ მიიწევდა, უკან დაეწია. ამის შემდეგ ოფიციალური ცნობები მხოლოდ იმას გადმოგვცემენ, რომ მის ჯარში არაფერი ცვლილება არ მომხდარაო.

გენერალ ეიხგორნის არმიის მარცხენა ფრთა, რომელიც ვილეიკ—მოლოდეჩნისკენ მიიწევდა, როგორც ოფიციალური ცნობიდან სჩანს, ამ რაიონიდან ჩრდილო დასავლეთით იბრძვის, სადაც რუსის ჯარი შეტევითი მოქმედებას აწარმოებს ხალხის დასამშვიდებლათ გედკე ამბობს, რომ რუსეთის სტრატეგია ამაში დამნაშავე არ არის და აღმოსავლეთ ფრონტზე ნამდვილ მდგომარეობის გამოსარკვევათ, საჭიროა ყველა ფრონტზე მომხდარ ბრძოლების შედეგების საერთო განხილვა. (ბ. ვ.)

ზავის შესახებ.

სანფრანცისკოში 1 ოკტომბერს, საერთაშორისო კონგრესმა რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც დაევალა დავიდ სტარ იორდანს დაუყონებლივ მიმართოს ვაშინგტონში ვილსონს, რომ ნეიტრალური სახელმწიფოების კონფერენცია მოახდინოს და შეეცადონ ზავის ჩამოგდებას მებრძოლ სახელმწიფოთა შორის.

,,დ.''

,,ბერლინერ ტაგებლატ''-ს კორესპონდენტი დეპეშით ატყობინებს, რომ ბელგრადზე უკანასკნელ დღეებში ყუმბარების დაშენის გამო ქალაქი ძლიერ დაზიანდაო. ფორტები სრულიად განადგურებულია. ფორტების ახლოს მდებარე სახლები და ბინები ძალიან დაზიანდენ. ქალაქის დაჭერის დროს მცხოვრებლებიდან მხოლოდ 30,000 კაციღა იყოვო. სერბიელების წინააღმდეგობა პოჟაროვაცთან ძლიერ დიდია. საბერძნეთის გაზეთების ცნობით, გერმანელებმა სემენდრიის რაიონში უკან დაიხიეს და დიდი ზარალიც მოუვიდათ. 20,000 დაჭრილი გერმანელი ბერლინში მიიყვანეს.

საბერძნეთის საზღვრებთან.

საბერძნეთის ოფიციალურ წყაროებიდან იტყობინებიან: საბერძნეთის საზღვრების ახლო, ვალანდოვთან თავმოყრილია 50 ათასი ბულგარეთის ჯარის კაცი და აქ სწარმოებს დიდი ბრძოლა.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

სამართალში მისცეს.

როგორც მოსკოვიდან იუწყებიან გრადონაჩალნიკის თანაშემწე მოდლი სამართალში მისცეს, რადგან მას რუსეთთან მეომარ სახელმწიფოების ქვეშევრდომის შესახებ გამოცემულ ცირკულიარის სავსებით შეუსრულებლობის და ზოგჯერ მათი მდგომარეობის შემსუბუქების ხელის შეწყობასაც აბრალებენ. გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია" ამ ამბავის სინამდვილეს უარყოფს. (ქ. ს.)

ახალი მარკა.

ხურდა ფულის მაგიერ პეტროგრადში სხვა და სხვა ღირსების და ფასის მარკა შემოიღეს და აი, როგორც დეპეშით იუწყებიან, ასეთ მარკის მოთხოვნილება მეტათ დიდი აღმოჩნდა. მარტო ერთ დღეს პეტროგრადში სახელმწიფო ბანკს ასეთი მარკა 172, 367 მან. და 20 კაპეიკის" გაუყიდია.

სახელ. სათათბიროს მოწვევა.

„ნოვოე ვრემიას" გადმოცემით სახელ. სათათბიროს მოწვევის საკითხი ოქტომბრის დამლევს გადაწყდება (ნ. ვ.)

ახალი სესხი.

რუსეთის ფინანსთა მინისტრი, ბარკი 1 ოქტომბერს დაბრუნდა პეტროგრადში. მან ლონდონში ორ გვარი სესხი აღება მოაწყო. ერთია, 3 მილიარდიანი ფუნდის მიღება, რომელიც ინგლისში და სხვა ქვეყნებში დაკვეთილ სამხედრო მასალის ხარჯებს დაფარავს. ხოლო მეორე 2 მილიარდიანი სესხი კი ჯერჯერობით საიდუმლოთ რჩება. მისი ხასიათისა და მნიშვნელობას არ ამჟღავნებენ. ვადა გადადებულია აგრეთვე ინგლისის ბანკიდან შარშან ნასესხები 1 მილიარდი მან. აღების შესახებაც. (რ. ვ.)

ბინების ტაქსა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ხვოსტოვმა საუწყებათაშორის თათბირის წევრთ ბინის ტაქსის და დაარსების შესახებ წინადადება მისცა, რომ საქმეს დაჩქარებით შეუდგენ. ამ საკითხზე თათბირი მოწვეულ იქნება 10 ოქტომბრისთვის. მინისტრების გარდა თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ ქალაქების თვითმართველობათა წარმომადგენლებიც. ახლა ამ საქმეზე შეგროვილი ცნობები, რომლებიც ქალაქების თვით მართველობებიდან მიუღიათ, მთავარ სამართველოს სისტემაში მოჰყავს. ასე რომ, ბინების ტაქსის დაწესებას მალე შეუდგებიან. (რ. ვ.)

ქართული პრესა.

გაზეთ „საქართველოში" [illegible] შემდეგ ახსნა-განმარტება [illegible] დიანო საქართველოს ისტორიას:

რა დროიდან დაიწყო ის რთული ისტორიული პროცესი, რომელსაც სამცხე საათაბაგოს მკვიდრი ქართველობა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა? ვამბობთ „რთული ისტორიული პროცესი'', რადგან, როგორც ქვემოდ დავინახავთ, აქ საქმე სრულებითაც ისე მარტივად არ მომხდარა, როგორც უმეტესობას შაბლონურად აქვს წარმოდგენილი: ,,მაჰმადიანობამ მოსპო ქრისტიანობა და ამას მოჰყვა ხალხის ეროვნული გადაგვარება''.

მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც მაჰმადიანობაზე საზოგადოდ და არც ქართველი ერის წარსულ ისტორიაზე კერძოდ. მართლაც, თუ აქ მაჰმადიანობა რამე შუაში იყოს, რატომ არაბთა თითქმის ოთხას წლოვანი მფლობელობის დროს (მე-7—10 საუკ.) არ მოისპო ქრისტიანობა ქართველთა შორის? ან კიდევ, მე-15—8-ე საუკუნეში აღმოსავლეთის საქართველოსაც ხომ მუდამ გვერდში ჰყავდა და მე 16-ე საუკუნიდან კიდევაც ფლობდა სამაჰმადიანო სპარსეთი, და რატომ მოხდა ისე, რომ იმავე საუკუნეებში სამცხე-საათაბაგო და ჭანეთი გადაგვარდა, ქართლ-კახეთი კი არა? პირიქით: არაბთა მფლობელობის დროს ქართველმა კულტურამ, ბევრი რამ ახალი შეიძინა განათლებულ არაბთაგან, მაგალითად მედიცინასა და მათემატიკაში; ხოლო მე-16—18 ე საუკუნის ქართული მწერლობის რენესანსი, როგორც მოგეხსენებათ, პირდაპირ სპარსეთის კულტურის გავლენასთანაა მჭიდროდ შეკავშირებული. მაშასადამე, როგორც სჩანს, მაჰმადიანობა თავისთავად აქ არაფერ შუაშია; ამას გარდა, ისიც ხომ ახსნას საჭიროებს, თუ როგორ მოხდა, რომ სამცხე-საათაბაგოში მაჰმადიანობამ გაიმარჯვა. საქართველოს დანარჩენ კუთხეებში კი ვერა? მაჰმადიანობა—თავის თავად ხომ ყველგან მაჰმადიანობაა!.., სწორედ, სამხრეთის ქართველთა კულტურულად დაცემის ძირითადი მიზეზები მაჰმადიანობის გარეშე უნდა ვეძებოთ. და მართლაც, რამდენათაც საქმეს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, იმდენად უფრო ნათლად დავინახავთ, რომ სამცხე საათაბაგოში მაჰმადიანობამ გაიმარჯვა არა იმიტომ, რომ იგი „მაჰმადიანობა" იყო, ადგილობრივი მკვიდრნი კი ქრისტიანები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მაჰმადიან-ოსმალთა ძლევამოსილებას აქ დაუხვდა შინაურის განხეთქილებით და ფეოდალურის განდგომილებით დასუსტებული პოლიტიკური ორგანიზმი, რომელმაც ვერ

ანი და „მესამე ბლოკი".

(ანის „ორი ბლოკის" გამო).

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 193).

4.

ორმაგი კატასტროფა.

აქ ვერ გამოუდგებით იმის აღწერას, თუ ევროპის ბურჟუაზია ბრძოლის რა მეთოდს ხმარობდა ფეოდალიზმის და აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ სხვა და სხვა ეპოქაში. ვერც იმას შევეხებით, თუ რამდენათ და როდის დაკარგა რევოლიუციონერობის ხალისი და „ნიჭი" რუსეთის ბურჟუაზიამ ან კიდევ რამდენათ შერჩა რევოლიუციონერობის უნარი სპარსეთის, ჩინეთის და აზიის სხვა ერების ახლათ ფეხადგმული ბურჟუაზიას; არც იმისი დრო და ადგილი გვაქვს, რომ ავსწეროთ, თუ ბრძოლის რა მეთოდს ხმარობდენ, ან ხმარობენ ახლა ყველა ქვეყნის რევოლიუციონერობას მოკლებული „ბურჟუაზიები".

ყველა ამ კითხვებზე კარგა მოზრდილი წიგნი დაიწერებოდა.

აქ კი მინდა შევეხო მხოლოთ რუსეთის „ოპოზიციონურ ბურჟუაზიის" ახლანდელ გამოსვლას და მისი ბრძოლის დღევანდელ მეთოდს. მით უფრო, რომ ანის—„ორი ბლოკი" მხოლოთ ამ საკითხს ეხება.

როგორც წინა წერილში ვსთქვით და ანიც აღიარებს რუსეთის „მოსაქმე ბურჟუაზია" მაშინ დაფაცურდა, როცა ბრძოლის ველზე საქმეთა საშიშმა მდგომარეობამ კითხვა ნათლათ დააყენა და მიასოედოვების ღალატი აშკარა გახდა. თვარა მანამ მას, როგორც საზოგადოთ დღევანდელი მაოფლიოთ მის, ისე ბრძოლისველზე რუსეთის არმიის დღევანდელი სარდლების, გენერლებისა და მთავრობის ხელმძღვანელობით გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდა.

საზოგადოთ თვით ომის და ბრძოლის ველზე ხალხთა სისხლის ღვრით გამარჯვების იმედი პროლეტარიატის ინტერესებს და მასთან ერთად მთელი კაცობრიობის ძირითად ეწინააღმდეგება და ამიტომაც პროლეტარიატი მთელი თავისი ძალღონით „ომს ყოველთვის ომს" უცხადებდა. რუსეთის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ კი როგორც კი ევროპამ მიზეზი მისცა, მაშინვე ლოზუნგათ „ბრძოლის ველზე გამარჯვება" გამოაცხადა და ამით თითქო "რუსეთის ისტორიულ ნაციონალური მისიის" შესრულება მიზნათ დაისახა. მილიუკოვმა მთელი რუსეთს სტამბოლისაკენ გასალაშქრებლათ მოუწოდა. ცხადია პროლეტარიატი ამ ლოზუნგს ვერ გაიზიარებდა, როგორც მისი ინტერესების და იდეალების უარის მყოფელს, თუმცა რუსეთის ისტორიულ-ნაციონალური მისიის შესრულება მას სხვაზე უფრო აინტერესებს. მაგრამ ამ მიზნისთვის მას საკუთარი გზა და მეთოდი აქვს გაკვლეული და ყოველთვის მას მიმართავს იგი. ეს არის შინაგანი კატასტროფა, რისაც ისე გაურბის რუსეთის ოპოზიციონური ბურჟუაზია და რის საწინააღმდეგოთ და სამაგიეროთ იგი სიხარულით ხელგაშლილი შეხვდა მსოფლიო ომს, გარეგანი „კატასტროფის" გამოცხადებას.

მაგრამ მას, პროლეტარიატის ამ გამანადგურებელმა „კატასტროფამ, ომმა იმედი აღარ გაუმართლა და საშინელ თავზარდამცემ ჩიხში ჩააყენა იგი:

და საერთო სამშობლოის შიგ გულში მტრის შემოჭრამ პოლიტიკური ცვლილების, ძირითადის რეფორმის საკითხი წინ დააყენა, და აი ამ საბედისწერო მომენტშიაც მან ოლ მხოთ ის და შესძლო, რომ რაღაც ნაირი „ყვითელი" ბლოკი შეადგინა, რომელსაც „პროგრესიული'' უწოდა და „შავების და წითლების" წინააღმდეგ მიმართულ ძალთ გამოაცხადა. ეს იყო მისი ბრძოლის მეთოდის დასაწყისი და პროლეტარიატს რაღა ეთქმოდა ასეთი გულახდილი განცხადების შემდეგ იმის მეტი, რაც დუმის ს. დ. ფრაქციის ხელმძღვანელობის პირით სთქვა.

ამის შემდეგ მომენტი კიდევ უფრო გამწვავდა, ჩიხი, შეკა კიდევ უფრო შეჰკრეს: დუმა მთავრობამ დაითხოვა და ყველაფერში 87 სტატია ხელმძღვანელათ გამოაცხადა. ერთი სიტყვით დუმა და ყველაფერი მისს გარშემო გადამწყვეტი ბრძოლის წინ დადგა: ანუ საჭირო იყო გმირი მირაბო, რომ პირდაპირი ბრძოლის ლოზუნგი გადაესროლა დეპუტატებას და ხალხში და ამ გზაზე ვაჟკაცურათ გაძღოლოდა წინ ოპოზიციონურ, ბურჟუაზიას, მაგრამ ეს არ მოხდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მირაბოს ალაგას როდიჩევი წამოდგა და დუმას „პროვოკაციის" აჩრდილი წინ დაუყენა! მან დამშვიდება და დაწყნარება ითხოვა. ის დათხოვნას და არა მოთხოვნის გზას დაადგა. ოპოზიციაც და ბურჟუაზიაც მას გაჰყვა. და როცა მუშებმა დუმის დათხოვნის გამო ორი დღის პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადეს, ლიბერალებმა ეს დაჰგმეს და მუშებს პირზე ხელი დააფარეს. განა მუშებმა მწარე ისტორიული გამოცდებით არ იციან, რომ მარტო „რეზოლიუციებით", „პეტიციებით", დეპუტაციებით, თხოვნით და ვედრებით ვერავინ ვერაფერს გახდება რეაქციასთან ბრძოლაში? ნუ თუ ბურჟუაზიის ბრძოლის ეს მეთოდი მათი ინტერესების მასხარათ აგდება არ იყო?!

რა თქმა უნდა, რომ მასხარათ აგდება იყო და ამიტომაც მათ იმ დღიდანვე „ზურგი აქციეს" ოპოზიციის ლოზუნგებს, რეზოლიუციებს და თავის საკუთარი ლოზუნგი და რეზოლიუცია, თავის საკუთარი მოთხოვნები წამოაყენეს. 1905 წელს თუ ბურჟუაზია პროლეტარიატს მხოლოდ 17 ოქტომბრამდე გაჰყვა, ახლა თითქო პროლეტარიატის რიგი იყო, რომ მას გაჰყოლოდა; მაგრამ რას ვხედავთ? პროლეტარიატმა ერთი დღითაც არ ისურვა, რომ ბურჟუაზიის „კუდში გამობმოდა" და ისე ისტორიულ მისიის შესრულებას შესდგომოდა.

მეტყვიან: თუ „კუდში გამობმა" არ ისურვა, სამაგიეროთ „კოალიციის" პრინციპს წამოაყენებს და „მებრძოლ" ბურჟუაზიასთან, როგორც მოკავშირესთან, გარეშე მტერსაც და შინაურსაც ერთათ შეებრძოლება, ერთად იმოქმედებსო".

დიახ, თითქო ასეთ „კოალიციისაკენ" მოუწოდებენ ლიბერალებიც მუშებს, როცა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მათი წარმომადგენლების მონაწილეობას სიხარულით ეგებებიან. თითქო ანიც ასეთ იმედს იზიარებს, როცა ამბობს: „უეჭველია ეს მდგომარეობა, ე. ი. პროლეტარიატის უძლეობა და უმოქმედობა" (ჩვენებურათ კი ბურჟუაზიისაკენ „ზურგის შექცევა" და მისი ბრძოლის მეთოდის უარყოფა. დაბ.ელი.) შეიცვლება, ყინული გადნება და შეგუბებულ ატმოსფერას ფართო გასავალი მიეცემა". და ეს ფართო გასავალი ალბათ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობაა ანის აზრით, ხოლო, პლეხანოვის რჩევით სახელმწიფო სამხედრო ბიუჯეტის სასარგებლოთ ს. დ. ფრაქციის მიერ დუმაში ხმის მიცემაა.

როგორც ხედავთ ანსაც და პლეხანოვსაც უპირველეს საქმეთ მიაჩნიათ პროლეტარიატის მხრით, რომ იგი ბურჟუაზიასთან ერთად სამხედრო საქმეებში ჩაებას და მანაც აქ „თავისი წვლილი" შეიტანოს. აი, რაში ხედვენ ისინი „კოალიციის" პრინციპის დაცვას და საითკენ მოუწოდებენ რუსეთის პროლეტარიატს.

საქმე კი ნამდვილათ აი, როგორ არის: რუსეთის „საზოგადოებრივი კვანძს", გაჰრის, შინაური პოლიტიკური განახლების და მით რუსეთის წარმოება მრეწველობის განვითარების საკითხი რუსეთში ომამდეც იყო წამოყენებული. ეს კითხვა 1915 წელმა ვერ გაჰრა და ის ახლო მომავალს უანდერძა გადასაჭრელათ, შემდეგ „შინაგან კატასტროფას" დაუტოვა. შინაგან „კატასტროფას" გარეგანმა „კატასტროფამ", ომმა მოუსწრო და აი „დადუმებული" ბურჟუაზიაც ამეტყველდა. მან მოინდომა **ომის საშუალებით** რუსეთის წარმოება-მრეწველობის განვითარების საკითხის გადაჭრა; ამისთვის კი საჭირო შეიქნა ბრძოლის ველზე აუცილებელი გამარჯვების მოპოვება, „ტევტონის" აუცილებლათ დამარცხება. ამასვე ოცნებობს ყველა მეომარი ქვეყნის ბურჟუაზიაც და ეს ოცნება, რომ სინამდვილეთ აქციოს, მისთვის საჭიროა სახელმწიფოს ყველა ძალები შემოიკრიბოს, ყველა კლასი თავის მიზნისაკენ გაიტაცოს და აი მეომართა ქვეყნების და მათ შორის რუსეთის ბურჟუაზიაშიც შეჰქნა ერთი „ვაი ვინ ხარ მამაცის" ყვირილი: მოდით მოგვეშველეთ, „სამშობლო" ვიხსნათ: ქალმა და კაცმა, მდიდარმა და ღარიბმა, კაპიტალისტმა და მუშამ, ლიბერალმა და სოციალისტმაო. ამ ყვირილზე ქვეყანა, მართლაც, შეინძრა, ომის საშინელებამ მართლაც ყველა „ძალზე" ჩააფიქრა, და რადგან დღევანდელი ქვეყანაც და მისი იდეოლოგიაც უდრესათ ბურჟუაზიულია და მასთან „ნაციონალისტურიც", ამიტომ ყველაფერი ამ ომის დროს ბურჟუაზიული და „ნაციონალისტური" ფერით შეიღება. „ომი ბოლომდის" ყველა მეომარი ქვეყნების ლოზუნგი გახდა, ბევრმა სოციალისტმა და ინტერნაციონალის ყოფილმა წევრმა ეს წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ლოზუნგი თავის ლოზუნ-

მესძლდა ოსმალებს გამკლავებოდა, პირიქით, ფეოდალური ცენტრიდანულ ტენდენციებით გამსჭვალული, სამცხე საათაბაგო ზოგჯერ თვით მიმართავდა ხოლმე იმავე ოსმალებს ქართველის მეფეების წინააღმდეგ რომელნიც, თუ ყოველთვის ვერა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ფრიად დარწმუნებული მატარებელნი იყვნენ საქართველოს პოლიტიკურის ერთობის იდეისა და, შეძლებისადაგვარად, კიდევაც ემსახურებოდნენ ამ იდეას. საქართველოს ფეოდალური დაქსაქსვა კი ბევრად უფრო ადრე დაიწყო, გაცილებით უფრო ადრე, ვინემ ქართველები ოსმალებს გაეცნობოდნენ. ოსმალების გამარჯვებამ საქრისტიანო ბიზანტიაში (1453 წელს) და მათმა ცბიერმა პოლიტიკამ სამცხე-საათაბაგოში მხოლოდ დააჩქარა ამ უკანასკნელის განცალკევების პროცესი საქართველოს დანარჩენი ნაწილებისაგან. და სამწუხაროდ მხოლოდ ის არის, რომ დანარჩენს ნაწილებს იმდენი ძალა არ შესწევდათ რომ ეს პროცესი შეეჩერებინათ, სეპარატიზმის დაღმართზე დამდგარი პროვინციები შეეკავებინათ და შეენარჩუნებინათ. პირიქით, სრულიად საქართველოს უკანასკნელი მეფის ალექსანდრე პირველის აქტით (1442 წ.), რომელმაც წინ უსწრო ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობას, ამგვარს სეპარატიზმს და დანაწილებას თითქმის ერთგვარი უზენაესი სანქციაც კი ჰქონდათ მინიჭებული: ალექსანდრე პირველის მიერ სამ სამეფოდ გაყოფილი ფეოდალური საქართველო მე 15-ე საუკუნის დამლევამდე უკვე რვა დამოუკიდებულ პოლიტიკურ ერთეულად დაქუცმაცდა, დასუსტდა და ძლევამოსილს ოსმალეთს კიდევ უფრო გაუადვილდა მოსამზღვრედ მდებარე სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა. მე-17-ე საუკუნიდან სამცხე სათაბაგო უკვე ოსმალეთის სამფლობელოდ გადაიქცა, ხოლო მისი ჩამომავლობითი მფლობელი ათაბაგები—ფაშებად წოდებულ იქნენ.

მეფის მოადგილის დამობრძანება ქუთაისში.

ჩვენს გაზეთში გუშინ დაბეჭდილ ამბავს, უნდა დავუმატოთ შემდეგი:

7 ოკტომბერს დილიდანვე თითქოს ბუნებაც კი ემზადებოდა უმაღლესი სტუმრის მობრძანებისათვის. ქუჩები სადღესასწაულოთ, საუცხოვოთ იყო მორთული. ხალხი გაფაციცებით ელოდა მეფის მოადგილის ჩამოსვლას. სადგურიდან საკათედრო ტაძრამდი სახლის აივნებზე გადმოფენილი იყო ფარჩა—ხალიჩები და ბაირაღები. ყველა სასწავლებლის მოწაფეები—ქალი თუ ვაჟი—ჩამწკრივებულიყო ერთ ნაპირზე. ქუჩის მეორე მხარეს იდგენ ჯარის კაცები. ქალებსხელში ეჭირათ ყვავილები გზაზე დასაფენათ.

სრულ ორ საათზე რკინის გზის სადგურზე მობრძანდა დიდი მთავარი სამეფო მატარებლით. მას მიეგებენ ქალაქის თავი ი. მ. ჩიქოვანი, მისი თანაშემწე პ. მოსიძე რამდენიმე ხმოსანი, ვაჭრების წარმომადგენელი: რ. კ. მახარაძე, მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისი ი. ი. ფხაკაძე, ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელი მ. გ. ფილავა, და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. აქ ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა განსაკუთრებული გაკეთებული ხის ხონჩით მიართვა პურ-მარილი და მიმართა მშვენიერის სიტყვით, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში.

სიტყვებით მიმართეს თავად-აზნაურობის წარმომადგენელმა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემ, ვაჭართა წარმომადგენელმა რ. კ. მახარაძემ, მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისმა ი. ი. ფხაკაძემ, ებრაელთა რაბინმა და სხვა. სადგურიდან დიდი მთავარი წაბრძანდა საკათედრო ტაძარში.

მცირე ლოცვისა და შესაფერი სიტყვის თქმის შემდეგ, ყ-დ სამღვდელომ მიართვა წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს დიდი ხატი. დიდმა მთავარმა მადლობა გადაუხადა მღვდელმთავარს და აღუთქვა მეორეთ ჩამოსვლისას ვინახულებ მოწამეთასაო. შემდეგ მთელი ამალით როგორც მოხსენებული გვქონდა გაემგზავრა ქართული გიმნაზიისკენ.

ნაშუადღევის სამ საათზე დიდი მთავარი დაბრუნდა სადგურზე თბილისში წასასვლელათ. გამოთხოვებისას მადლობა გადაუხადა ქუთაისის ქალაქის მოურავს ი. მ. ჩიქოვანს და ხელი ჩამოართვა.

ქუთაისის სილამაზემ და ხალხის აღტაცებულმა შეხვედრამ დიდათ ასიამოვნა უმაღლესი სტუმარი დასავლეთ-საქართველოისა.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ 7 ოქტომბრისთვის დანიშნული ქუთაისის ქალთა საზოგადოების კრება, რომელზედაც უნდა ამოერჩიათ 5 სარევიზიო კომისიის წევრი და 4 კანდიდატი, საკმაო წევრების დაუსწრებლობის გამო, გადაიდვა 14 ოქტომბრისათვის.

◆ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ის 1,200 მანეთი, რომელიც გადარჩა ვაჟა-ფშაველას დასაფლავების შემდეგ ნაირათ გაანაწილა. $^2/_3$ გადაიდვას განსვენებულის შვილების აღსაზრდელათ, $^1/_3$ კი ლიტერატურული ფონდის გასაძლიერებლათ.

მსახიობი ქალი

სიუზანა ბიჭანიშვილი.

(წრევანდელი სეზონის გამო).

◆ გუშინ და დღეს ქუთაისის არცერთ საშუალო და დაბალ სასწავლებელში, მეფის მოადგილის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სურვილისამებრ, სწავლა არ იქნება.

◆ 21 და 22 ოქტომბრისთვის ქ. ოზურგეთში დანიშნულია კოოპერატორების ყრილობა, მონაწილეობას მიიღებს ოზურგეთისა და ფოთის რაიონის კოოპერატიული საზოგადოების წარმომადგენლები. ამ ყრილობაზე უმთავრესათ გაირჩევა საკითხი წრევანდელი მოუსავლობის შესახებ.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთის“ მორიგი 15 №-რი. გაზეთი შინაარსიანია.

◆ ქალაქის ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში ნამყოფი მასწავლებელი სიმონ მჭედლიძე მიიწვიეს ქუთაისის 8 კლასიან კომერციულ სასწავლებელში მასწავლებლათ.

◆ პირველი კავკასიის სოლქო ინჟინერი სთხოვს ქალაქის გამგეობას შეატყობინოს სხვა და სხვა სანოვაგეზე არსებული ნიხრი.

◆ ქუთაისის გუბერნიის სამართველომ გამოუგზავნა ქუთაისის ქალაქის გამგეობას ასლი იმ ქაღალდისა, რომელიც გამოგზავნა სამინისტრომ ქუთაისში ყვავილის აცრის კურსების დაარსების შესახებ.

◆ 6 ოქტომბერს დილით კ. ბალმონტმა რამდენიმე მისი თაყვანის მცემლების თანხლებით დაათვალიერა ქუთაისის შესანიშნავი ადგილები და ბაგრატის ციხე. ჭამაში სეირნობის დროს ჭიათურის ნატარიუსმა ვლ. აბდუშელიშვილმა მიართვა თაიგული და პურმარილით გაუმასპინძლდა რითაც პოეტი დიდი მადლობელი დარჩა.

◆ ამ დღეებში მოხდება კერძო თათბირი ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრის ს. ქვარიანის მაგიერ კანდიდატის დასასახელებლათ. კანდიდატათ ასახელებენ სხვათა შორის დ. მდივანს.

◆ ქალაქის გამგეობის ვაგონების განმანაწილებელმა კომისიამ შემდეგ ნაირათ გაანაწილა სანოვაგისათვის ვაგონები: სიმინდის ფქვილისათვის 17 ვაგონი. შაქრისთვის 1 ვაგ. სიმინდისათვის 10 ვაგ. მარილისათვის 1 ვაგ. ნავთისათვის 10 ვაგონი. მაზუთისათვის 30 ვაგ. თივისათვის 5 ვაგ. სხვადასხვა სანოვაგისათვის 11 ვაგონი.

◆ სახალხო სამინისტრომ ნება დართო კლასიკურ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლებში გამოცდები მოაწყონ ყოველ თვიურათ 6 კლასისიანი კურსის ეგზამენის დასაჭერათ, რათა მათ ნება მიცეთ სამხედრო სასწავლებელში მისაღებათ.

◆ 4 ოქტომბრიდან 29 სეკტ. ქუთაისში შემოიტანეს სანოვაგე: პურის ფქვილი 17 ვაგ. მარილი 1 ვაგ. სიმინდი 9 ვაგ. ქატო 1 ვაგ. შაქარი 1 ვაგ. და 108 ფუთი. ქვანახშირი 3 ვაგ. თივა, 4 ვაგ. შეშა 10 ვაგ. ხის მასალა 1 ვაგ. ცემენტი 3 ვაგ. კარტოფილი, 5 ვაგ. ხახვი 2 ვაგ. და სხვა და სხვა სანოვაგე 8515 ფუთი.

სოფლით.

◆ **სოფ. ტაბაკინი.** (შორაპნის მაზრა). ამ მოკლე ხანში აქ დაარსდა ეგნატე ნინოშვილის სახელობის უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველო. ბინა სამკითხველოსათვის უფასოთ დაუთმო ადგილობრივმა გლეხმა ოქროპირ წითელიშვილმა.

◆ შორაპნის მაზრის სხვა და სხვა სოფლიდან გვატყობინებენ, რომ ღვინის მოსავალი წელს ძლიერ ნაკლებია. აქაურ გლეხებს მხოლოდ ღვინის იმედი ჰქონდათ, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ. საბალნე ღვინო 60—75 მ. ფასობს.

◆ ამ მოკლე ხანში სოფლებში ახალი კანონის მიხედვით მოხდება ათისა და ოცის თავების არჩევნი. საჭიროა ამას სოფლის ინტელიგენციამ ყურადღება მიაქციოს და ღირსეული პირები აირჩიონ.

◆ **ს. ქორეთი.** (შორაპნის მაზრა). გვწერენ, ეს ორი წელიწადია ორ კლასიანი სასწავლებლისათვის ფული შეკრიბეს და ეხლაც იქ ინახება. სასურველია ამ ფულით გააკეთონ უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი. საჭიროა ადგილობრივმა ინტელიგენციამ იზრუნოს სამკითხველოს დაარსებაზე.

◆ **ს. ბჟინევი.** (შორ. მაზრა). ამ დღეებში ადგილობრივმა მცხოვრებმა არსენ კაპანაძემ მოკლა ახალგაზდა ყმაწვილი სიმონ გიგოს ძე აბდუშელიშვილი. კაპანაძე დაიპატიმრეს. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ს. ნანეიშვილის-სეული.** (გურია) დასავლეთ ნაწილმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ჩამოაცალონ იმერეთის სოფლები და მიაწერონ დ. ჩოხატაურს, როგორც გადმოგვცეს, ეს გამოუწვევია მთავრობისაგან ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას.

◆ როგორც რაჭის სოფლებიდან გვატყობინებენ, წელს მოსავალი ძლიერ ცუდი არის. მოსალოდნელია რაჭაში შიმშილობა.

◆ **დ. აბაშაში** კვირას, 4 ოქტომბერს, ადგილობრივს თეატრში, უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ მსახიობი დ. ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა „იუდის ამბორი“ დრ. 4 მოქ. თარგმანი მემლაძისა და „მონადირე“ ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი. წარმოდგენას საზოგადოება ბლომათ დაესწრო და ძლიერ კმაყოფილიც დარჩა.

სიტყვა.

ყოვლად უსამღვდელოესის ეპისკოპოსის გიორგისა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში 7 ოქტომბერს, მათის იმპერატორობითი უმაღლესობის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შეხვედრის დროს.

თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ, კეთილმორწმუნეო ხელმწიფეო.

გულითადის სიხარულით ეგებება თქვენ იმპერატორობითი უმაღლესობას დასავლეთი საქართველო. უხარის უძველესსა კოლხიდას მობრძანება თქვენი და თქვენისა დანიშვნისა გამო მეფის მოადგილეთ კავკასიაში ჰგონებს, რომ ესე არს კვალადი კეთილგანწყობილება ხელმწიფე იმპერატორისა კავკასიისა და კერძოთ მეფისმოყვარე ქართველის ხალხისადმი. გვიხარის ყველას მობრძანება თქვენი იმ[illegible] უფრო, რომ ჩვენ უკვე გვიცნობდით თქვენ. [illegible] ლით საქმენი თქვენისა [illegible] ბული შორეულისა დასავლეთის [illegible] მდიდ ციმბირისა, ბოროტისა და უზღვრის მტრისა. ჩვენ გვრწამს, რომ ღვაწლი თქვენი, გაწეული დაჩაგრულ ხალხთა უღლისგან დასახსნელად კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე აღიწერება ოქროს ასოებით.

არა უცხოებელ არს განგებისაგან ღვთისა გადმოტანა თქვენის უმაღლესობის მოღვაწეობისა დასავლეთიდან სამხრეთით. ჩვენ გვწამს დიადი მოწოდება რუსეთისა აღმოსავლეთისადმი მცხოვრებ ქრისტიანთა განთავისუფლების საქმეში მაჰმადიანთა უღლისაგან, ეს წმინდა მიზანი ყველაზე უწინ დაისახა ქართველმა ერმა და ამიტომაც თავის ნებით სამუდამოთ შეუერთდა დიად რუსეთს და განუღო ბჭენი დახმარებისა წინა-აზიაში მცხოვრებ სხვა ქრისტიან ერებსაც. რუსეთის გვირგვინოსნებმა წმინდათ აღასრულეს მოვალეობა თავისი ქრისტიანული საქართველოს წინაშე, დაუბრუნეს რა მას მტრისაგან მოწყვეტილი მხარეები.

მაგრამ ჯერ კიდევ დღესაც ჰგმინავს ოსმალეთის უღელ ქვეშ უძველესი, თავისის ქრისტიანულის კულტურით სახელ განთქმული კუთხეები,—სამშობლო წმ. გიორგისა და ქართველთა განმანათლებელ ნინოსი, ჯერ კიდევ ჰგმინავენ და კვნესიან ცეცხლითა და მახვილით გამაჰმადიანებული ლაზები, სისხლნი და ხორცნი ქართლოსიანებისა. ჩვენ გვწამს, რომ აწი კი დაჰკრა საათმა უძველესს საქართველოს ამ კუთხის თავის ქვეყანასთან შესაერთებლად. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის ამ დიადი დანიშნულების განხორციელება უფალმა წილად არგუნა მახვილსა თქვენის იმპერატორობითი უმაღლესობისასა.

ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი სუფევს არა ძალასა, არამედ სიმართლესა შინა. ღმერთი ჩვენი არა დაგვიტევებს ჩვენ. მტრები ჩვენნი დამარცხდებიან. დამყარდება მშვიდობა ქვეყანასა ზედა და თითოეული ხალხი კავკასიისა იპოვის თავისს ისტორიულ ადგილს საერთოდ შრომისა და ცხოვრებისთვის, არა მოისურვებს-რა ქონებასა მოყვასისასა. ჩვენ გვრწამს, რომ უნებლიეთი შეცდომანი წარსულისა გამოსწორებულ იქნებიან.

დიადი შრომა დასდევს უფალმა მხრებსა ზედან თქვენის უმაღლესობისასა და იგივე ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი.

მოვედინ, კეთილმორწმუნეო ხელმწიფეო, სახლითა უფლისათა.

მცირე პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გიორგიმ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების სახელით აკურთხა მათი იმპერატორობითი უმაღლესობა წმ. დავით და კონსტანტინეს ხატით. ამ წმინდა ძმებმა, თავადებმა არგვეთისამა ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში თავი გასწირეს მაჰმადიანებთან ბრძოლაში სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის.

სიტყვა.

თქმული ქალაქის თავის ი. მ. ჩიქოვანისაგან მეფის მოადგილის შეხვედრის დღეს, 7 ოქტომბერს.

თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ!

წილად მხვდა მე უდიდესი პატივი მივესალმო თქვენს იმპერატორობითი უმაღლესობას ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისა და ქუთაისის ყველა მცხოვრების სახელით. უსამზღვროთ ბედნიერია, უსამზღვროთ აღტაცებულია დასავლეთ საქართველოს უძველესი დედაქალაქი უმზერს რა თავის უგვირგვინოესს სტუმარს, მოადგილეს მეფისას, რომელმაც მდგომარე ისტორიულ ეპოქაში სარდლის მსოფლიო სახელი მოიხვეჭა.

მდიდარი არ არის ჩვენი ქალაქი და არცა ბრწყინავს იგი გარეგნულ კეთილმოწყობილობით, მაგრამ მდიდარია იგი

გათ აღიარა და პროლეტარიატსაც აქეთკენ მოუწოდა.

ამ ნიადაგზე აღმოცენდა ყველა მეომარ ქვეყნებში გამარჯვებისთვის საჭირო პირობა: „ძალთა გაერთიანება“ (საფრანგეთში) „შინაური მორიგება“ (გერმანიაში და კლასთა „კოალიცია“ (ინგლისში), ერთი სიტყვით, ყველგან „სამღვთო კავშირი“ განმტკიცდა და თითქო „კლასთა ბრძოლა“ შეწყდა, შეჩერდა! რუსეთის ბურჟუაზიამაც ომის გამოცხადების დღიდანვე (26 ივლისის დუმის სხდომაზე) ასეთივე პაროლი შექმნა და „ძალთა გაერთიანების“ და კლასთა „კოალიციის“ პრინციპი მაინც აღიარა, მაგრამ მან ამ დროს გერმანული „შინაური მორიგება“ განზრახ დაივიწყა და მტრის მაგალითი მისაბაძათ არ გაიხადა: ალბათ მუშების ეშინოდა—ბევრს მოითხოვენ, და „ხათაბალაში“ გაგვაბმენო, იფიქრა მან!

დღესაც კი, როცა მტერი კარზეა მომდგარი, მუშებთან „შინაური მორიგების“ ნაცვლათ მათ სამხედრო—სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის მისაღებათ მოუწოდებენ და მუშების მოთხოვნაზე,—წინასწარი კრებების გამართვის ნება მიეცესთ მათ, სიჩუმით უპასუხებენ. ანკი დედამოძღვებულ რუსეთის ბურჟუაზიას, ანის თქმისა არ იყოს, როგორ „მოვთხოვოთ რადიკალური ტენდენციები, რომელიც მას არ შეეფერება.“ (იხ. ანის „ორი ბლოკი.“)

მას „შეეფერება“ ხალხის ენერგიის ყვლეფა, ხალხის ძალღონით გარეშე ბაზრების დაპყრობა და ამას იგი ჩინებულათ ასრულებს; ამისთვის სჭირდება მას მუშებთან „კოალიციის“ შეკვრა.

„კოალიცია“ ომის საწარმოებლათ და ბურჟუაზიული ინტერესების განსამტკიცებლათ და არა სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების განსაახლებლათ, აი როგორი „კოალიცია“ სწამს ბურჟუაზიას. იტყვიან: ეს საქმის მხოლოთ სუბიექტიური მხარეა, ხოლო ობიექტიურათ „სულ სხვა“ შედეგებს მივიღებთო: ობიექტიურათ „ქვეყნის დაცვის“ საქმეში ბურჟუაზიის ჩარევა საერთო ნაციონალურ საჭიროებას—ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობას ემსახურება. რა ვუყოთ, რომ ეს მისი კლასიური ინტერესიც არის; განა პროლეტარიატის მოთხოვნა—პოლიტიკური თავისუფლების—მისივე კლასიურ ინტერესებს არ ემსახურება? კლასიური ბრძოლის ჩარხი ხომ კლასის ინტერესია! ამაზე შემდეგი უნდა ვსთქვა: ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა—განვითარება (ბურჟუაზიის ინტერესი) პოლიტიკური თავისუფლებაც (პროლეტარიატის ინტერესი) ორივე საერო ინტერესს წარმოადგენს. კითხვა მხოლოთ იმაშია, თუ რომელ საზოგადოებრივ კლასს რა გზითა და რა საშუალებით შეუძლია დღევანდელ ისტორიულ პირობებში ამ ორი ინტერესის შეთანხმება—შედუღება, ერთ ლოზუნგათ გადაქცევა და სისრულეში მოყვანა! როგორც დავინახეთ ბურჟუაზია ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა: ბრძოლის ველზე გამარჯვებით ჩვენ მოვიპოვებთ ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობა—განვითარებას, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ თავისუფლებას, ეს იმდენათ არის საჭირო, (ალბათ მისთვის კერძოთ და არა საერთოთ) რამდენათაც არსებული მთავრობა ნებაყოფლობით დაგვითმობს და სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას ჩვენც (ბურჟუაზიას) გაგვინაწილებს. აი ბურჟუაზიის ასეთ მისწრაფება-პასუხიდან გამომდინარეობს, ჩემის აზრით, ბრძოლის მისი მთელი მეთოდი და საშუალება. მას კერძო კლასობრივი ინტერესი ნებას არ აძლევს, რომ იგი რევოლუციის გზაზე დადგეს და რევოლუციონური ლოზუნგი შეითვისოს. სულ სხვაა ომი, იგი მისი პირმშო შვილია, მისი ბუნებიდან და მისწრაფებიდან გამომდინარეობს და რა გასაკვირველია, რომ ბურჟუაზია „ქვეყნის დაცვაზე“ და „სამშობლოს“ ხსნაზე ბევრს ყვიროდეს!

ამნაირათ პირველი გვარის „კატასტროფა“, ე. ი. ომი ბურჟუაზიის გზა და საშუალებაა, რასაც პროლეტარიატი ყოველთვის ზიზღით და უარყოფით ეგებება. პროლეტარიატის გზა და საშუალება მეორე გვარის „კატასტროფაა.“

რასაც თავის მხრით რუსეთის ბურჟუაზია უარყოფით და შიშით შესცქერის.

ახლა აშკარაა, რომ პროლეტარიატის და ბურჟუაზიის „კოალიცია“ იმდენათ არის შესაძლებელი, რამდენათაც ამ ორი გვარი „კატასტროფის“ ერთიმეორესთან დაკავშირება შეიძლება.

რანაირათ და რა პირობებში მოხერხდება ეს? მხოლოთ იმ შემთხვევაში და იქ მოხდება, ეს, როცა პირველი გვარის „კატასტროფა“, ე. ი. ომი იწვევს, როგორც დეზორგანიზატორული ძალა, რომელიმე სახელმწიფოში მეორე გვარის „კატასტროფას“,

. . . .

. . . .

. . . .

დასელი.

(დასასრული ხვალ)

ბუნებრივის საუნჯით, აღსავსეა იგი უსაზღვრო სიყვარულით გვირგვინოსან მამისადმი, რომელმაც უმაღლესი მზრუნველობა გაუწია საქართველოს და მთელს კავკასიას, დანიშნა რა თავის მოადგილეთ თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა, ჟამსა ამა უმძიმესთა განცდათა.

აღარ აშინებს საქართველოს შავი ღრუბლები, აღარ სწუხს იგი თავისი ბედისათვის ხედავს რა თქვენში ძლიერსა დამცველსა და მფარველსა თვისსა. უშიშრათ და უეჭვოთ შეჰყურებს იგი ახლო მომავალს, რომელიც მიანიჭებს დიად რუსეთს მტერზე გამარჯვებასა და მის მოქალაქეობრივ ცხოვრებას ყვავილნარათ გაფურჩქვნას, ხოლო ქართველ ხალხს კი მიანიჭებს დაკმაყოფილებას მის აუცილებელ ეროვნულ საჭიროებათა.

სახელითა ამ ბრწყინვალე მომავლისა ჩვენმა მამებმა და ძმებმა თავის თანამოძმე რუსის ხალხთან ერთად, რომელიც სისხლსა ღვრის ბრძოლის ველზე, აღთქმა დასდეს გაღმერთებულ მონარქის წინაშე, არ დაინდონ თავი თვისი, ვიდრე არ შეიმუსრება მტერი და თვით თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა მოწმეა იმისი, თუ რამდენათ შეასრულეს ქართველებმა ეს აღთქმა. ქალაქ ქუთაისისა და მთელს დასავლეთ საქართველოსათვის ამ სასიხარულო დღეს სრულის გულით მოგართმევთ რა პურმარილს, ერთგულებად გთხოვთ, თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ, გრწამდესთ, რომ, როგორც ბრძოლის ველზე გასული ისე შინ დარჩენილი ქართველები არ შეარცხვენენ თავის სამშობლოს და მოახერხებენ გაამართლონ გამოჩინებული მათდამი ნდობა და კეთილგანწყობილება თქვენის იმპერატორობითი უმაღლესობისა.

ბრძოლის ველიდან.

ბულგარეთმა მობილიზაცია მოახდინა. თუმცა რაინდულად არა, მაგრამ ასე თუ ისე რუსეთს ხელთათმანი ესროლა. ამ ხელთათმანს, რუსეთთან ერთად, მისი მოკავშირეებიც აიღებენ.

ბულგარეთმა მთელი 12 დღე მიხვეულ მოხვეულ პასუხებით ატყუა და არწმუნებდა ქვეყანას, რომ მობილიზაცია არ ნიშნავს ომში ჩარევას, მას სურს დაიცვას შეიარაღებითი ნეიტრალიტეტი ისე, როგორც შვეიცარიამ. ასეთი ლითაიები პოლიტიკურათ უსუსურებს თუ დააჯერებდა. ფერდინანდმა, ცხადია, ვილჰელმს დაუჭირა მხარი. ეს მოსალოდნელიც იყო. ხოლოდ იგივე არ ითქმის საბერძნეთზე.

რუსეთი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ საბერძნეთი სერბიასთან ერთად იქნებოდა თანახმად ხელშეკრულებისა, მაგრამ რუსეთის დიპლომატებს ავიწყდებოდათ ნათესავური კავშირი.

საბერძნეთის დედოფალმა სოფიომ—ვილჰელმის დამ, აშკარაა პატარა როლი არ ითამაშა და შესაფერი გავლენა იქონია თავის გვირგვინოსან კონსტანტინეზე, რომელმაც პრემიერ მინისტრი ვენიზელოსი, ოთხთა შეთანხმების მომხრე, აიძულა კაბინეტიდან ხელაბლა გასულიყო.

ტყუილად ამბობენ ზოგიერთები, რომ პიროვნებას ისტორიაში მნიშვნელობა არ აქვს: საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს რომ ვილჰელმის და არა ყოლებოდა ცოლად, მაშინ საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდებოდა.

რას იტყვის ახლა რუმინია, როდემდის გასტანს მისი ნეიტრალიტეტი, ჯერ არავინ იცის.

ამის შემდეგ აშკარაა გერმანია, გადალახავს რა სერბიას, ბულგარეთით მიეშველება ოსმალეთს, ვინაიდან თუ ერთ მოკავშირე ავსტრო უნგრეთს გაუთავისუფლა მთელი გალიცია, ახლა მეორე მოკავშირეს დაეხმარება და, აი კავკასია, და კერძოთ ჩვენი საქართველო, შეიქნება სულ ახლო ბრძოლის ასპარეზად.

როგორ უნდა მოიქცნენ ჩვენი ქალაქებისა და დაბა-სოფლების მშვიდობიანი მცხოვრებნი? უნდა დარჩნენ თავ-თავიანთ ალაგას, თუ აიკრიფონ გუდა ნაბადი და სადმე შორს გადიხვეწონ? კეთილგონიერება მოითხოვს არსად წავიდნენ, თავ-თავიანთ კერას არ მოშორდნენ, თორემ ის დღე დაადგებათ, რაც ბევრ სხვა აწიოკებულთ, ბინიდან აყრილთ—გზაში სიცივე და სიმშილით სიკვდილი. თუ სიკვდილი აუცილებელია, ისევ თავის მამაპაპეულში მოკვდეს და იქ დაიმარხოს, ვიდრე სადმე შორს ყვავ-ყორნების საწიწკნელად გახდეს.

მაგრამ სიკვდილი აზრათ ნურავის მოუვა. თუ არაფერს დაუშავებენ, მტერიც არ იხმარს იარაღს მშვიდობიან მცხოვრებ მოხუცებსა და ბავშვებზე.

ამასვე მოუწოდებდენ ლატიშელები და ესევე უნდა მოუწოდოს ჩვენმა ინტელიგენციამ ჩვენ ხალხს და თვით მისცენ მაგალითი და უპატრონოთ არ დაჰყარონ „უენო" ხალხი. ჩვენმა სულიერმა მამებმა პოლონეთის ქსენზებს უნდა წაბაძონ და თავიანთ მრევლს თავი არ უნდა დაანებონ, თუ ამას მოითხოვს მოსალოდნელი მდგომარეობა

ნელი.

ქუთაისის სტამბის მუშათა ცხოვრებიდან.

თანამედროვე ცხოვრების ჩარხის უკუღმა ტრიალმა ყველაფერი უკუღმა გარდაქმნა, გადაბრუნდა დროება, შეიცვალა ქვეყანა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ქუთაისის სტამბის მუშები თავის ცხვირის იქით მაინც ვერაფერს ხედავენ (ზოგის გამოკლებით.)

გუშინდელი მოწინავე მუშა დღეს უკან ჩამოდგა.

ის მუშა, რომელსაც თავი შეგნებულათ მოაქვს და შესაფერი ნდობაც აქვს დამსახურებული ამხანაგებში, დღეს ამავე ამხანაგების წინააღმდეგ მოქმედებს. ასეთი პირი შეუგნებელ მუშებს რამე შეცდომისთვის სამარცხვინო ბოძზე გააკრავს და თვითონ კი ისეთი მიუტევებელი შეცდომისთვისაც, როგორიცაა ორის ადგილის დაჭერა ისეთ დროს, როცა უმუშევარი ამხანაგი ქუჩაში დაეხეტება ლუკმა პურისთვის—ჩირადაც არ მიაჩნია. განა ამაზე შორს წავა ადამიანის ზნეობრივათ დაცემა?

რომ ყველა ზემო დასახელებულში ღრმად დარწმუნდეს პატივცემული მკითხველი საჭიროთ ვსთვლი ავღნიშნო ერთი ცოცხალი მაგალითი: ძლიერ ვსწუხვარ, რომ ასეთი ამხანაგი მოხვდა ისეთ სასირცხო როლში, როგორც ტ. ს—ა მარა არ შემიძლია მაინც გულდამშვიდებით ვუცქირო მის საქციელს, როდესაც ის „კუტაისკაია ვესტზე" მუშაობს, თვიურათ 52 მანეთს ღებულობს და იმავე დროს „სასოფლო გაზეთს" აწყობს, რითაც ერთ უმუშევარ ამხანაგს ლუკმა პურს უკარგავს...

სიტყვით პირველია ასეთ მოქმედების წინააღმდეგ და **საქმით** კი თავის ამხანაგების განკითხვაში არ შედის.

ამხ. ტ. ს. გეკითხებით: რატომ თქვენს პრინციპს ღალატობთ, რათ მუშაობთ ორ ადგილზე იმ დროს, როცა შეიძლება უმუშევარის შოვნა?

დასასრულს, ვურჩევთ ამხ. ს—ს რომ თავი დაანებოს „ორი კურდღლის დაჭერას", თვარა სამშას—„წუნის მოუკლეს" ისე არ დაემართოს*).

„Аврора".

---

*) საუბედუროთ ჩვენდა ასეთი „მოწინავე" მუშები—როგორც არის ტ. ს. თავიანთ თვალში დირეს ვერ ამჩნევენ და სხვის თვალში კი ბეწვს დაეძებენ.

ასოთ-ამწ.

პატარა ფელეტონი.

სურათი სოფლის ცხოვრებიდან.

ზამთრის დასაწყისი იყო.

შემოდგომის უკანასკნელ სუსხიან თვეს მთლად გაეტიტვლებია ამწვანებული ტყემინდორ-ველი და თეთრ სუდარაში გასახვევათ მოემზადებია.

შავი ღრუბლებით დაბურული ცა ისე მრისხანეთ გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, მთელ დედამიწას ჩაყლაპავს უპირებსო.

ჰქროდა ისეთი ცივი ქარი, რომ ძვალსა და რბილში უვლიდა ყოველ სულდგმულს.

ასხამდა კოკისპირული წვიმა.

შუა დღე იქნებოდა, რომ მიადგენ დაბის სასამართლოს პიშკარს გამხმარ ცხენზე მჯდომი, დაფლეთილ შავ ტანთსაცმელში გახვეული შუახნის ქალი და ერთი მთლად ტალახში ამოთითხნული პატარა ბიჭი.

თავიდან ფეხებამდი დასოვლებულნი მგზავრები სიცივისაგან ცახცახობდენ...

გაჭირვებით ჩამოხტა ქალი ცხენიდან, ფეხზე ძლივს დგებოდა...

„დედილოცა, უფალო, შენი სახელი... არ ვღირვარ შენ წყალობას... ნამდვილ ძაღლი არ გეიგდება გარეთ, იმისთანა ამინდია"... ამბობდა ის ხან გამოშვებით.

ის იყო გაალო ბავშმა პიშკარი და ცხენს ჩაყვანას უპირებდა ეზოში, რომ სასამართლოს დარაჯმა მიაყვირა:

— ეი, შენ, რომ მოგყავს მა ცხენი, მამაშენის ბოსელი ხომ არ გგონია აქანე?!...

— აპა, რა უყო, სულში ვარ მე დაბარებული!—აკანკალებული ხმით უპასუხა შეშინებულმა ქალმა!

— გადაღმა დააბი, ან ბიჭი დაგიკავებს, ან და, რაც გინდა ის უყავი, რა ჩემი საქმეა!

— გადაღმა სა დეიბმება, ბოვში თუ აქანე გავაჩერე ხო გამიყინდება სიცივით ამ დასაქცევ ამიდში! თუ ღმერთი გწამს, ნუ მაწვალებ. დამაგვიანდება და დამშტრაფავენ, ემუდარებოდა ქალი.

— ეჰ! რას იზამ კაცი! ჩამეიყვანე, ბიჭო, და მიაბი აგერ, შენ ჩემთან წამოდი და მე გასწავლი ვისთან უნდა მიხვიდე; საქმეს რომ მორჩე, გასამრჯელო ქე დამიტოვე, არ დაგავიწყდეს. ჩუმათ უთხრა დარაჯმა, მიიყვანა ქალი მწერალთან და გადააცემია მისთვის უწყება.

— შენ, აპეკუნობის თაობაზე ხარ დაბარებული? მედიდურათ დაეკითხა მწერალი.

— დიახ, თქვენი ჭირიმე.

— ჩამოჯექი მაქანე სკამეიკაზე და დამიცადე.

— აპა, მოდი და მოაწერე ხელი, ერთი მანეთი ქე დატოვე და თავისუფალი იქნები! უთხრა მწერალმა ქალს ცოტახნის მუშაობის შემდეგ.

— მანათი ნამეტანი ბევრია, ათ შაურს მოგართმევ და დამჯერდი დედაშვილობას.

— ვერ უყურებ რამდენი ვწერე, ვაზე და ვიხლაფორთე შენი გულიზა?

შენ, თვარა, ამის გაკეთება სამი მანეთია! უთხრა მწერალმა და განაგრძო მუშაობა.

საბრალო ქვრივი სასოწარკვეთილებით დასჩერებოდა მას.

— შეხედე ჩემ გაჭირვებას, ღმერთი შეგეწევა, ობლების პატრონი ვარ და სამ აბაზს დამჯერდი.

— ასეთია, დედი, კანონი, მე ხომ ვერ შევცვლი!—წარბშეკვრით უთხრა მწერალმა.

— ეჰ! თუ კანონია, რა გეეწყობა! ღვთის, ხელმწიფისა და კანონის წინააღმდეგ რა მაქ მე, საწყალ ქვრივს!—ამოიხვნეშა ქალმა, ამოიღო ჯიბიდან ჭუჭყიან ნაჭერში გახვეული გროშები და მანეთიანი მწერალს მაგიდაზე დაუდვა.

წამოეიდა თუ არა ცხენზე შესაჯდომათ, გადაეღობა მას დარაჯი.

— მე ქე დაგავიწყდი?!

— თუ რამე მქონდა იმ ყმაწვილმა წეიღო და შენ რა მოგცე!

— აპა, ტყვილად ვინ გასწავლიდა! ერთი აბაზი მაინც დამიტიე, თვარა მეორეჯერ რო მოხვალ, ცხენს ჩამოგაყვანიებ კი არა შენც არ ჩამოგიშობ აქანე!

საწყალ ქვრივს შეეშინდა და სწორედ უკანასკნელი აბაზის გროში გადასცა მას.

ქალი რამოდენიმე ხანს იდგა გაშტერებული! შემდეგ თვალცრემლიანმა გადახედა ტალახში მდგომს სიცივისაგან აკანკალებულ ბავშს და სიბრალულით უთხრა.

— მოგიკვტა შენი დეიკეი, რა მიგი ყვანს სახლში მშიერ მწყურვალეს, ერთი შაური მაინც დამრჩენოდა, რომ პური მეყიდა...

ბავში ხმას არ იღებდა, თავჩაქინდრული იდგა, თვალზებზე მასაც ცრემლი მოსდგომოდა.

— ჩქარა მაინც წევიდეთ, რომ დროზე მივიდეთ სახლში და ვჭამოთ რამე; პატარაზე წამოდი ფეხით და დუქნებს რომ გავცილდებით ქე შამოგიჯენ ცხენზე!—მწარეთ ამოიხვნეშა ქვრივმა და გაუდგენ გზას სოფლისაკენ.

გ. ნეფსაძე.

პროვინციის ცხოვრება.

ოკრიბა. შიმშილის საშინელი აჩრდილი ოკრიბასაც თავს დასტრიალებს, მსოფლიო ომმა აქეთაც თავისი გავლენა შესამჩნევათ დაამჩნია, მოსავალმა აგერ ზედი-ზედ პირი იბრუნა და ამით მცხოვრებთა ეკონომიური მდომარეობა უკან დასწია. სიმინდის მოსავალი სულ არ არის. განსაკუთრებით წრევანდელ წელს უნდა ნახოთ, თვით თქვენი თვალით, რომ განიცადოთ ის, რასაც ოკრიბლები განიცდიან. ბუნების სასტიკმა სტიქიონმა აქით მოსავალი, სრულებით გაანადგურა. ხალხის გაჭირვებას საზღვარი არა აქვს.

კარგი მოსავალი იყო ხოლმე ღვინისაც, მაგრამ წელს—ისიც სულ არ მოსულა.

ვინ დაიხსნის ოკრიბლებს ასეთ-ტრაგიკულ მდგომარეობიდან?..

ამ შემთხვევაში დიდ როლს ითამაშებდა კოოპერაცია, რომელიც შესამჩნევუნარს გამოიჩენდა ხალხის გამოკვების საქმეში,—მაგრამ სად არის ის?..

მთელ ოკრიბაში-ერთი კოოპერატივი არ არსებობს, რაც უნდა მიაწეროს ოკრიბელ შეგნებული პირების უუნარობას და გულგრილობას ხალხის გაჭირვებისადმი.

საჭიროა გამოფხიზლება, საზოგადოებრივ ფერხულში ჩაბმა და ამით ხალხის დახსნა უკიდურეს მდგომარეობისაგან, საჭიროა კოოპერაციის დაარსება და ხალხისათვის სიმინდისა და პურის მიწოდება,—თორემ კიდევ—ვიმეორებთ—ოკრიბა განსაცდელშია შიმშილისაგან. ახალი მოსავალი ხალხს ორ თვესაც არ ეყოფა და შემდეგ კი შიმშილით ამოწყვეტა მოელის თუ დროით არ იქნა მოწესრიგებული ხალხის დახმარების საქმე.

მეტი გამჭრიახობა მეტი მუშაობა ხალხის საკეთილდღეოთ აი რა უნდა იყოს ჩვენი დევიზი.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აგრეთვე ოკრიბის ვაჭრების თავ-გასულობა. კაი დრო იშოვეს და სანოვაგე მეტის მეტათ გააძვირეს, რაც აორკეცებს გლეხის—მატერიალურ დაქვეითებას.

სამ. კიკაჩეიშვილი.

ზესტაფონი.

შაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ზესტაფონის საკრებულო დარბაზში მომხმარებელი საზოგადოების „ერთობის" ინიციატივით მოხდა წინასწარი კრება ამ საზოგადოების დასაარსებლად და საძირკვლის ჩასაყრელად. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად თავჯდომარეთ აირჩია მღ. კ. ანთაძე, მდივნად ნ. ბერიძე. თავჯდომარემ პირველყოვლისა წინადადებით მიმართა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ვაჟა-ფშაველას ხსოვნისათვის, რაიც შესრულებული იქნა. კრება შეუდგა მთავრობისაგან დამტკიცებულის „ერთობის" წესდების მუხლების განხილვას. განმარტებას იძლეოდა იქ დამსწრე ბ. გაბილაია ზოგიერთს საკითხზე. მცირე ნაწილი კრებისა მოწადინებული იყო კრების გადადებისა განუხილველად წესდებისა. მაგრამ უმეტესობამ გადასწყვიტა ეს კრება გამოიყენოს და გახადოს საორგანიზაციო დამფუძნებელ კრებად. ნამეტურ ერთი სტუდენტი დაჟინებით გაიძახოდა გადავდვათ კრება და თავჯდომარეს წარამარა ერთსა და იმავეს ეუბნებოდა მისი წინადადება მიეღოთ". კრებამ მაინც უმნიშვნელოდ არ ჩაატარა ეს დღე და ზოგიერთი საჭირ-ბოროტო კითხვები იქვე დაასკვნა და დაადასტურა მომავალი კოოპერატივისათვის გამოსადეგი. იქვე ჩაეწერენ რამდენიმე წევრად და შეიტანს ხუთი მანეთი სა[illegible] და 10 შაური საწევრო ფული. უფრო ვრცელი, დიდრიცხოვანი [illegible] წყდა მოწვეულ იქნეს [illegible]. იმ დღეს წასაკითხვი ბ. გაბილაიასაგან ლექცია „ცხოვრების გაძვირება და მასთან ბრძოლა" გადაიდვა 11 ოქტომბრისათვის.

თავჯდომარემ იმავე დროს სთხოვა საზოგადოებას, თუ საჭიროდ დაინახავდენ, გახსნილიყო ზესტაფონში ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების განყოფილება, რაზედაც თანხმობა გამოცხადდა და ამ საკითხის განხილვაც იმავე კრებაზე განსახილველად გადაიდვა.

გ. გძელი

პასუხი

(ბ. ალექსანდრე მესხს).

სამშობლოს, 189 ე ნომერში, მოთავსებულია ბ. ალექსანდრე მესხის წერილი, რომელშიდაც პატივცემული ავტორი შეკითხვა, თუ რა შემოსავალ გასავალი ჰქონდა, ამ ზაფხულს გამართულ წარმოდგენებიდან, და თუ რამე გადარჩა, რას მოახმარეთ. ამის პასუხად შემიძლია მოვახსენო ბ. ალექსანდრე მესხს, რომ ჩვენ შევდიოდით დ. ხაშურის დრამატიულ წრეში და ჩვენი ყველა ანგარიში ინახება ხაშურის დრამატიულ გამგეობაში. ამ მოკლე მომავალში დ. ხაშურში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება დრამატიული საზოგადოებისა, სადაც განხილულ იქნება შემოსავალ გასავალი, როგორც ხაშურში გამართულ წარმოდგენებისა, ისე გომისა. აი, ამ კრებაზე შეუძლიათ დაესწრონ დაინტერესებულ პირთ და გაიგონ, თუ რა შემოსავალ-გასავალი ჰქონდა გომის სექციას და სად ან რას მოახმარდა მოგება. ცოტა არ იყოს გასაკვირია ერთი გარემოება: თუ აგრე შესტკივა გული საზოგადო საქმისადმი ბ. ალექსანდრე მესხს, მაშ რატომ არ არის წევრი გომის სათეატრო სექციის; ან იქნება დანგრევა და სხვის გაწბილება უფრო ადვილი გონია, ვიდრე საქმეში მონაწილეობის მიღება?

გომის სათეატრო სექციის თავჯდომარე **იპოლიტე ფილიპეს ძე უფლიშვილი.**

შემოწირულება.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დაცვის სასარგებლოთ მივიღეთ: ღ. სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გიორგისგან 10 მან., ბლაღ. იოსებ წერეთლისაგან მის საბლაღოჩინოში სამღვდელოთა შორის შეკრებილი 21 მან., და ნიკო ჩხეიძისაგან 3 მანეთი.

კომიტეტი უღრმეს მადლობას სწირავს ზემოაღნიშნულ შემომწირველთ.

კომიტეტის მინდობილობით წევრი კომიტეტის. **ა. გორგაძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბორიანის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, საღ. 5—6 საათამდის. 12—9

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თე.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის მსაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან